ლექცია #1 - ძირითადი ცნებები

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა, მონიტორინი და შეფასებაში

მიზანი, ამოცანა და ქმედებები

მიზანს და *ამოცანას* ხშირად ერთმანეთის შემცვლელად ვიყენებთ. თუმცა ტექნიკური თვალსაზრისით ისინი (goal და objective შესაბამისად) საკმაოდ განსხვავდებიან. უფრო მეტიც, ხშირად ისინი გვერევა *ქმედებებში*. ამის გამო შეუძლებელი ხდება უმარტივესი ლოგიკური კონსტრუქციის (ჩარჩოს) აგება, სადაც მიზანს, ამოცანაა და ქმედებებს შორის ერმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ჩანს.

მაგალითი 1:

განვიხილოთ სიტუაცია (იხ. დანართი 1): გვალვის შედეგად მოსავალი არ მოდის (არსებული მდგომარეობა).

თუ შეიცვლება ამინდები და მოხშირდება წვიმები, მაშინ მდგომარეობა შეიცვლება (თავისით) უკეთესობისაკენ.

თუ აღვადგენთ სარწყავ სისტემას (განძრახული ძალისხმევა), მაშინ ამ *ქმედებით* მივიღებთ *შედეგს* - მოსავალი გაზრდილია

რით განსხვავდება (მო)ქმედება მიზან/ამოცანისაგან?

მოქმედება არის **პროცესი**, მიზანი და ამოცანა - **მდგომარეობა (შედეგი)**. პროცესი ჭირდება ერთი მდგომარეობის მეორეთი შეცვლას. ეს შეიძლება მოხდეს თავისთავად ან ჩვენი ჩარევით; თუ ეს მეორე მდგომარეობა იყო სასურველი, ხოლო პროცესი - განძრახული ძალისხმევა, მაშინ ვიყტვით, რომ *ქმედებ(ებ)ით* მივიღეთ *შედეგი*. ეს პრინციპული განსხვავება გარჩეულია ქვემოთ მოყვანილ მაგალითზე (იხ. მაგალითი 1).

თუ ეს ასეა, მაშინ რატომ გვერევა მოქმედებები ამოცანა/მიზნებში?

თვალსაჩინეობისთვის განვიხილოთ მაგალითი 2 (გვ. 1), სადაც მოცემულია ორი ვარიანტი: ქმედებები ორივე ვარიანტში ერთიდაიგივეა, განსხვავდება ამოცანა/მიზნების ფორმულირება.

მაგალითი 2:

	ვარიანტი 1	**ვარიანტი** 2
მიზანი / ამოცანა	• *მოვრწყათ* გვალვისგან გაფუჭებული მოსავალი, ან • *დავიცვათ* მოსავალი გვალვისაგან, ან • *აღვადგინოთ* სარწყავი სისტემა	(კარტოფლის) მოსავალი, რომელმაც ზარალობს გვალვისგან, 2-ჯერ *გაიზარდა*
ქმედება	1. შევაკეთოთ სათაო ნაგებობები	1. შევაკეთოთ სათაო ნაგებობები

	ვარიანტი 1	**ვარიანტი** 2
	/არხი	/არხი
	2. შევიყვანოთ სარწყავი წყალი სოფლის მიწებზე	2. შევიყვანოთ სარწყავი წყალი სოფლის მიწებზე
	3. მოვკრიფოთ სარწყავი სისტემით სარგებლობის საფასური	3. მოვკრიფოთ სარწყავი სისტემით სარგებლობის საფასური

რეალობაში უფრო ხშირად ვაწყდებით პირველ ვარიანტს: მიზანი/ამოცანა და ქმედებები გარეგნულად\ (და შინაარსითაც) პრაქტიკულად არ განსხვავდება. პრაქტიკულად, რაც განვაცხადეთ მიზნად/ამოცანად, იმასვე ვასრულებთ ქმედებების სახეს - მიზანი/ამოცანა ჩამოყალიბებულია, როგორც პროცესი და მას ასახავ ზმნა („მოვრწყათ“, „დავიცვათ“, „აღვადგინოთ“). პრაქტიკულად, ქმედებები იმეორებენ მიზან/ამოცანებს (ე.წ. მიზან/ამოცანის „გადამღერება“ ხდება). სამი ფორმულირებიდან მეორე ქვევარიანტი („*დავიცვათ...*“) ფორმით შედარებით განსხვავდებულია და ქმედებების გადამღერება არ არის, მაგრამ მაინც პროცესს ასახავს.

მეორე ვარიანტში მიზანი/ამოცანა ფორმითაც და შინაარსითაც განსხვავდება ქმედებისაგან: მიზანი/ამოცანა ჟღერს, როგორც *მდგომარეობა* (რომელიც არ გავს არსებულს კარტოფილის მოსავლის ორჯერ გაზრდილი ოდენობით); უფრო მეტიც, მიზანი/ამოცანის ასეთი ფორმულირება არ გულისხმობს მანდამაინც იმ ქმედებებს, რომლებიც მერეა შემოთავაზებული (ამ შედეგის მისაღწევად) - სიტყვაზე, მოსავლის გაორმაგება შეიძლებოდა სხვა ჯიშის კარტოფილის შემოტანით, რომელიც უფრო უძლებს გვალვას.

ვარიანტი პირველი ასახავს ყველაზე გავრცელებულ შეცდომას: როდესაც მიზანი/ამოცანა გადამღერებული ქმედებებია და გამოხატულია, როგორც პროცესი და არა მდგომარეობა (შედეგი). ასეთ დროს მიზანი უფრო ახირებას გავს და აგებულებით ასეთი კონსტრუქციაა: ‘ვაკეთებ კეთების გულისთვის’ („... ჩვენი მიზანია ავაშენოთ...“, ანუ აშენებისთვის ვაშენებთ!); ქმედება ქმედებისათვის უკვე უაზრობაა (რაც არ უნდა დამაჯერებლად ჟღერდეს ეს „სამიზნე“ ქმედება - მაგ. „უზრუნველყოთ...“).

დადგა დრო გავარჩიოთ, რით განსხვავდება მიზანი და ამოცანა. ორივე შედეგია, ოღონდ მიზანი უფრო შორეულია, ვიდრე ამოცანა. **ამოცანა მიღწევადია, მიზანი - მიუღწევადი**: მოცემულ ვითარებაში (დროში, სივრცეში, არსებული რესურსებით, შესაძლებლობებით და ა.შ.) მიზანს შეიძლება მხოლოდ მივუახლოვდეთ, მაშინ როცა ამოცანას - ვაღწევთ. როგორც წესი, მიზანთან მიახლოებას ემსახურება ორი ან მეტი ამოცანა.

მაგალითი 3:

	ვარიანტი 1	**ვარიანტი** 2	**ვარიანტი** 3
მიზანი	• სოფლის მოსახლეობის ყოფა გაუმჯობესე-ბულია, ან • სოფელში გაჭირვება	• *გაიზარდა შემოსავალი მოსავლის გაყიდვისგან*	*(კარტოფლის) მოსავალი, რომელმაც ზარალობს გვალვისგან, 2-ჯერ გაიზარდა*

	ვარიანტი 1	**ვარიანტი** 2	**ვარიანტი** 3
	შემცირებულია		
ამოცანა	• *გაიზარდა შემოსავალი მოსავლის გაყიდვისგან,* ან • შემცირდა შიმშილი ზამთრის პერიოდში	• *(კარტოფლის) მოსავალი, რომელმაც ზარალობს გვალვისგან, 2-ჯერ გაიზარდა,* ან • გაიზარდა რუსეთში პროდუქტის რეალიზაცია	• გაიზარდა მორწყული მიწების ფართობი 3-ჯერ, ან • გაიზარდა გვალვა გამძლე ჯიშების ხვედრითი წილი

ვინაიდან ერთიც და მეორეც ძალისხმევის *შედეგს* ასახავს - ორივე გაზომვადია (ანუ აღწერადია). მიზნის აღწერისას (და შედეგის გაზომვისას) დაშვებულია მეტი განზოგადება, მაშინ როცა ამოცანის დახასიათება ხდება გაცილებით უფრო კონკრეტულად დაკვირვებით შერჩეული მაჩვენებლებით (დეტალები განხილულია შემდეგ ლექციაში ლოგიკური ჩარჩოებზე).

არსებობს თუ არა რაიმე წესი ამოცანისა და მიზნის ჩამოყალიბებისას?

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შედეგი არის მდგომარეობა მომავალში, ცვლილება ჩვენი ძალისხმევის დამსახურებით. ცვლილება არის სამი ტიპის:

- აბსოლუტური - რაღაც არ არსებობს დღეს და ჩნდება მომავალში (ან პირიქით: არსებოს დღეს და აღარ არის მომავალში); მაშინ შედეგის ფორმულირებისას გამოიყენება ისეთი სიტყვები, როგორიცაა „შექმნილია“, „დანერგილია“, „დაფუძნებულია“, „ჩამოყალიბებულია“, „აღმოფხვრილია“, „ჩამქრალია“, „ლიკვიდირებულია“ და ა.შ.
- ფარდობითი - ფენომენი (საგანი, მოვლენა) არსებოს და იარსებებს, იცვლება მისი რომელიმე მახასიათებელი:
  1. თუ ცვალებადობა განიცადა მდგომარეობის რაოდენობრივმა მხარემ, მაშინ გამოიყენება ისეთი სიტყვები, როგორიცაა „გაზრდილია“ ან „შემცირებულია“,
  2. დანარჩენ შემთხვევაში მისაღებია ხარისხის ცვლილების მაჩვენებელი სიტყვები „გაუმჯობესდა“, „გაურესდა“, „გაადვილდა“ და ა.შ. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება მაგალითი 3 (გვ. 2)[1]
- არავითარი ცვლილება (რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს) - როდესაც ჩვენი ძალისხმევით არ იცვლება ფენომენი/მოვლენა, რაც გარდაუვალი იქნებოდა ჩვენი ჩაურევლობის შემთხვევაში; ასეთ დროს მიზანშეწონილა შედეგის ჩამოყალიბება ისეტი სიტყვებით, როგორიცაა „შენარჩუნებულია“, „დაცულია“ და ა.შ.

პრობლემა, ხედვა და მისია

რატომ ვისახავთ ხოლმე მიზანს და ამოცანას?

იმიტომ, რომ პრობლემა მოვაგვაროთ. მაშინ რა არის **პრობლემა**? ძალიან ხშირად, პრობლემას ვეძახით ყველაფერს, რაც გაგვეხარდება, უფრო სწორად კი, რაც არ მოგვწონს.

[1] ამ მაგალითში არის ერთი ყურადღესაღები გარემოება: ვარიანტი 1-ის ერთ-ერთი ამოცანა წარმოადგენს ვარიანტი 2-ის მიზანს, ხოლო ვარიანტი 3 მიზანი ფორმულირებულია, როგორც ვარიანტი 2-ის ამოცანა (ტექსტი დახრილი ასოებით). ეს მიუთითებს მიზნის და ამოცანის, როგორც შედეგის ფორმულირების პირობითობაზე. ეს პრინციპი უფრო დეტალურად გარჩეული იქნება შემდგომში ლოგიკური ჩარჩოს ტექნიკის დაუფლებისას.

პრობლემა, მიზნისა და ამოცანის მსგავსად, მგდომარეობაა (და არა პროცესი). ოღონდ პრობლემა ბუნებაში არ არსებობს (ისევე, როგორც მიზანი და ამოცანა). მოვლენა არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად: ჩვენ შეიძლება მოგწვონდეს, გვაწუხებდეს ან საერთოდ ინდიფერენტული ვიყოთ მის მიმართ. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ რაიმე მოვლენა (ფენომენი) არ მოგვწონს, ანუ **გვაწუხებს**, მაშინ იქცევა ის **ჩვენთვის** (ჩვენს წარმოდგენაში) პრობლემად. ანუ პრობლემა არსებოს მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში - ზოგჯერ იმას, რასაც კონკრეტულ ვითარებაში ჩვენ პრობლემად აღვიქვამთ, სხვა დროს შეიძლება დადებით მოვლენად მივიჩნიოთ (და პირიქით). მაგალითად, ავტოტრასნპორტის მოძრაობა არის მოვლენა: დადებითია, როცა გადაადგილების საშუალებად მოვიაზრებთ, და პრობლემად გვესახება, როცა ავტოსაგზაო შემთხვევებში დაღუპულ და დასახიჩრებულ ადამიანებზე ვიწყებთ წუხილს.

პრობლემას, როგორც წესი, ორი და მეტი გამომწვევი მიზეზი აქვს (პრობლემის მიზეზიც პრობლემაა); პრობლემა, ანუ მდგომარეობამ (ფენომენმა), რომელმაც ჩვენ თავდაპირველად შეგვაწუხა, როგორ წესი, ორ ან მეტ სხვა პრობლემას იწვევს (პრობლემის შედეგები). ერთი კონკრეტული (ჩვენი წუხილის გამომწვევი) პრობლემის მიზეზებისა და შედეგების გააზრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მიზნისა და ამოცანების დასალაგებლად (რასაც მოგვიანებით ვნახავთ ???). და ბოლოს, ფორმულირებისა და არსის თვალსაზრისით, *პრობლემა* (პრობლემების ერთობლიობა) პრაქტიკულად მიზან/ამოცანების სარკისებურ ანარეკლს წარმოადგენს.

სურათი 1: დღევანდელობიდან ხედვამდე



ზოგჯერ მიზანს (და მისგან გამომდინარე, ამოცანებს) ვისახავთ პრობლემის გააზრების გარეშე. პრობლემით დისკომფორტის მოშორების გარდა მიზნის დასახვის სურვილი შეიძლება გააჩინოს დადებითმა განცდამ - განსხვავებული მომავლის **ხედვამ**. ჩვენ შეიძლება არ ჩამოვაყალიბოთ, რა არ მოგვწონს დღეს; სამაგიეროდ აღვწეროთ, როგორი წარმოგვიდგენია ხვალინდელი დღე (მაგ. როგორი სოფელი „ეშველება“გაგვიხარდება დავიანხოთ 20 წლის მერე). ხედვა მიზნისა და ამოცანის მსგავსად, მდგომარეობას ასახავს, რომელიც კიდევ უფრო შორსაა და უფრო ბევრ თვისებას/ასპექტს მოიცავს, ვიდრე მიზანი; მიზნისაგან განსხავებით, ხედვა, როგორც სასურველი შედეგი, არ იზომება. ის უბრალოდ მიზნებისთვის ათვლის წერტილია და გასაგებს ხდის, რატომ დავისახეთ ესა თუ ის

მიზანი (თუ ის პრობლემებზე დარდმა არ გამოიწვია), ანუ რა სურვილი გვამოძრავებს. ერთი და იგივე ხედვა შეიძლება ორი და მეტი მიზნის გაჩენის შთაგონების წყარო გახდეს.

მაგალითი 4:

	საქველმოქმედო	**ბიზნეს ორგანიზაცია**
ხედვა	„სოფელი „ეშველას“ წარმატება მისაბაძი გახდა თითქმის მთელი საქართველოსთვის: სოფლებს მართავს სათემო საბჭო, რომელიც ადგენს, რა არის პრიორიტეტი და რაზე უნდა წარიმართოს სახსრები; გზები გახსნილია ყველა ტრანსპორტისთვის ზამთარ და ზაფხულ, ინტერნეტი მისაწვდომია ყველასათვის... მოსავლის რეალიზაციით შემოსავლიდან თანხების ნაწილი გროვდება სოფლის კეთილმოწყობისთვის... ახალგაზრდობა ბრუნდება ქალაქიდან...“	
მისია	• ასწავლო, როგორ იცხოვროს კარგად და მისცე შესაძლებლობა	• მიაგნო, რაშია შენი განუმეორებლობა, შეურწყა მას თანამედროვე ტექნოლოგია და დაიმკვიდრო ლიდერის ადგილი საერთაშორისო ბაზარზე
მიზანი	• სოფლის მაცხოვრებლების კეთილდღეობა გაუმჯობესებულია	• მაქსიმალურადაა ათვისებული სოფლის ეკონომიკური შესაძლებლობები
ამოცანა	1. თემი მობილიზებულია და გააჩნია უნარი, გადაჭრას პრობლემები 2. გვალვის მიუხედავად კარტოფილის მოსავალი გაორმაგებულია	1. ყოველწლიურად 20% იზრდება ადგილობრივი გადამამუშავებელი საწარმოების პროდუქციის რეალიზაცია 2. აგროტურიზმით შემოსული შემოსავლები ერთ სულზე აჭარბებს 500 ლარს წელიწადში

ზოგჯერ ხედვასთან ერთად „მოდაშია“ **მისიის** განცხადებაც. ამის პატივი, ჩვეულებრივ აქვს ორგანიზაციას, რომელსაც სურს დააზუსტოს, სად ხედავს საკუთარ თავს მომავლის

სურათში (ხედვაში) ანდა სურათისკენ მოძრაობის პროცესში. *მისია* არც შედეგს გამოხატავს და არც პროცესს (ამით განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან). უკეთეს

შემთხვევაში ის ასახავს იმ ერთეულის ბუნებას, რომელმაც ხედვა გაგვიზიარა და აპირებს დასახოს მიზანი (მიზნები) და მერე ამოცანები; ბუნების ასახვა შეიძლება ფასეულობების, ან ინტერესების, ან პრინციპების დეკლარაციით, რომლებიც წარმართავენ (ან გარკვეულ ჩარჩოებში აქცევენ) ორგანიზაციის არჩევანებსა და ქმედებებს.

მაგალითი 4 აჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს მისიის განცხადება მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებაზე. წარმოვიდგინოთ, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციასა და ბიზნეს ორგანიზაციას ხედვა გარკვეულ ნაწილში ემთხვევა; სამაგიეროდ დიამეტრალურად განსხვავდება მისიის განაცხადი; შესაბამისად, თავისი ხასიათით სრულიად განსხვავებულია მიზნები და ამოცანები, რომლებიც მათ დაისახეს: ბიზნეს ორგანიზაცია ცდილობს გაზარდოს და შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და აითვისოს სრულად პოტენციალი, რომელიც სოფლად არსებოს საკუთარი მოგების გაზრდებისათვის, ხოლო საქველმოქმედო ორგანიზაცია ცდილობს უკეთესი მომავალი შექმნას მოსახლეობის გააქტიურებით, მათთვის აუცილებელი უნარ-თვისებების გადაცემით. მისიის განაცხადის გარეშე ნაკლებად არაბუნებრივი გამოჩნებოდა, მიზნებისთვის ადგილები რომ შეგვენაცვლებინა.

შეჯამება

ზემოთქმული შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რამოდენიმე ამოსავალ პრინციპად, რომელიც შემდგომში დაგვეხმარება უფრო რთული ლოგიკური სავარჯიშოების შესრულებისას.

პრინციპი 1.	ქმედება ასახავს **პროცესს**, ამოცანა და მიზანი - **შედეგს**
პრინციპი 2.	**მიზანი/ამოცანა** არ არის (გრამატიკული ხრიკებით) პერეფრაზირებული ქმედება
პრინციპი 3.	**მიზანი** არის მიუღწევადი შედეგი (მოცემულ ვითარებაში), **ამოცანა** კი - მიღწევადი
პრინციპი 4.	მიზანი და ამოცანა არის არა აბსოლუტიური, არამედ **ფარდობითი** ცნებები
პრინციპი 5.	**პრობლემა** ბუნებაში არ არსებოს - პრობლემად ვაღიარებთ არსებულ მდომარეობის რაღაც ნაწილს, რომელიც არ მოგწვონს (გვაწუხებს)
პრინციპი 6.	**პრობლემა**, თავისი გამოწვევით მიზეზებითა და გამომდინარე შედეგებით წარმოადგენს მიზნისა და ამოცანების სარკისებურ ანარეკლს
პრინციპი 7.	**ხედვა** არის (შორეული) მომავლის სურათი, რომელიც ასაზრდოებს მიზნებისა და ამოცანების დასახვას
პრინციპი 8.	**მისია** ასახავს (როგორ წესი, ორგანიზაციის) ფასეულობებს, პრინციპებს და ინტერესებს, რაც განაპირობებს მიზნების და ამოცანების ხასიათის თავისებურებას საერთო ხედვის შემთხვევაშიც კი

დანართი 1: სიტუაციური ამოცანა

სოფელში „ეშველება“ ხალხი გაჭირვებაშია: არ არის შუქი, გაზი არ შეუყვანიათ, ახლო-მახლო ტყეები გაჩეხილია... სასმელი წყალი არ მიეწოდება... ახალგაზრდობა გაქცეულია, გზები ცუდ ამინდში გაუვალია... ორი წელი მიყოლებით გვალვამ გააფუჭა მოსავალი (განსაკუთრებით კარტოფილის და საზამთროსი).

ხელი მიგიწვდებათ ფულზე, რომელიც საკმარისია მხოლოდ ერთი პრობლემის მოსაგვარებლად. პოტენციური დამფინანსებელი სოფლიდან წასული მენახირეა, რომელსაც 4 კლასის განათლება აქვს, მაგრამ გაუმართლა, გამდიდრდა და ახლა უნდა თავის სოფელს უშველოს. საჭიროა პროექტის შექმნა შემდეგი ფორმატით:

მიზანი:

ამოცანა:

ღონისძიებები: 1)

2)

3)

4)

5)